**საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების დანართი, პუნქტი 4.3 ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ 2023 წლის I კვარტლის მდგომარეობით**

"სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს N1-1/346 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 და მე-4 მუხლების, სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს ბალანსზე რიცხული ზოგიერთი აქტივის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განკარგვის მიზნით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 მარტის N493 განკარგულების, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2023 წლის 15 მარტის N207/სა ბრძანების და 2023 წლის 28 მარტს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს ბალანსზე რიცხული, 11903.30 ლარის საბალანსო ღირებულების, ასევე ნულოვანი საბალანსო ღირებულების სხვადასხვა მოძრავი ქონება განსაკარგავად გადაეცა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.